საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- --მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №205/17

-- -- 2017 წლის 20 ნოემბრის №- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 02 ივნისის №205/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი -- -- აღნიშნავს, რომ -- რაიონული სასამართლოს მოსამართლის - -- -- წარმოებაში იყო -- -- სამოქალაქო სარჩელი, რომელიც მოსამართლემ გაყო სამოქალაქო და

ადმინისტრაციულ წარმოებად. სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო 2016 წლის 22 აგვისტოს, ხოლო ადმინისტრაციული საქმის ორ მოთხოვნაზე დაიწყო ცალ-ცალკე წარმოება. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ არ არსებობდა ამ ორი მოთხოვნის გამიჯვნის არანაირი საფუძველი, ვინაიდან პირველი მოთხოვნის დაკმაყოფილება ავტომატურად ნიშნავდა იმას, რომ უნდა დაკმაყოფილებულიყო მეორეც. კერძოდ, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ ინდივიდუალური მეწარმის მიერ შედგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელზეც დატანილია გამგებლის წარმომადგენლის ბეჭედი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია და გააუქმებდა მას, ასეთ შემთხვევაში, დაკმაყოფილებას დაექვემდებარებოდა მეორე მოთხოვნაც, რომელიც ითვალისწინებს ამავე საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე საჯარო რეესტრის მიერ განხორციელებული რეგისტრაციის ბათილად ცნობას. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს შესაძლებლობა ჰქონდა დასახელებული ორივე მოთხოვნა ერთ წარმოებად განეხილა და ამით დაეზოგა სასამართლოს დრო და რესურსი.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული დავის წარმოების პროცესში მოსამართლე -- -- მიერ გამოვლენილ იქნა მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც შეუფერებელია მოსამართლისათვის, ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს და ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2017 წლის 06 ივლისს გამართულ სხდომაზე, მან წარადგინა შუამდგომლობა მტკიცებულების საქმეზე დართვის თაობაზე, რაზეც მოწინააღმდეგე მხარემ მოითხოვა ვადა შუამდგომლობისა და დოკუმენტების გასაცნობად და განაცხადა, რომ საკუთარ პოზიციას მომდევნო სხდომაზე წარუდგენდა. თუმცა, შემდგომ სხდომაზე მოსამართლეს საკუთარი ინიციატივით არ განუახლებია შუამდგომლობის განხილვა, მოსარჩელემ თავად განუცხადა, რომ არ ეთანხმებოდა მოპასუხის პოზიციას ახალი მტკიცებულების წარდგენის თაობაზე. აღნიშნული კი მოსამართლემ გაიგო, როგორც ახალი მტკიცებულების წარდგენის მცდელობა მოსარჩელის მხრიდან და განაცხადა, რომ მოპასუხის შუამდგომლობა უკვე დაკმაყოფილებული იყო. ამით მოსამართლემ მისი შუამდგომლობა დააკმაყოფილა ისე, რომ არ მოუსმენია მოსარჩელის პოზიცია, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოსამართლემ არ იცის სახელმწიფო ენა. სახელმწიფო ენის არცოდნაზე მეტყველებს აგრეთვე ის, რომ მიუხედავად უამრავი საკანონმდებლო ჩანაწერის არსებობისა, მოსამართლემ ვერ გაარკვია სხვაობა ორ ობიექტს - ,,შენობა-ნაგებობასა“ და ,,ხაზობრივ ნაგებობას“ შორის.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდგომ მოსამართლემ დამსწრე პირებს განუმარტა თუ რატომ მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება. ასევე მოპასუხის შვილს (რომელიც არ წარმოადგენს მხარეს) განმარტება მისცა ისეთ საკითხებზე, რომლებიც სცილდებოდა გადაწყვეტილების შინაარსს - მოსამართლემ ,,ურჩია“, რომ არ გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება, რადგან სააპელაციო სასამართლო ძალაში დატოვებდა მის გადაწყვეტილებას და რომ ტყუილად უნდა გადაეხადა გასამრჯელო თბილისიდან ჩამოსული ადვოკატებისთვის.

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ამით მოსამართლემ მიზანმიმართულად შელახა ადვოკატის პროფესიული ღირსება, რაც არ შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტატუსს.

ადვოკატი -- -- საჩივარში ასევე მიუთითებს, რომ 2017 წლის 01 აგვისტოს სხდომაზე მოსამართლის მიერ თვითაცილებაზე დაუსაბუთებელ უარზე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა აცილების აბსოლუტური საფუძვლები. მოსამართლე -- -- განსახილველ საქმესთან დაკავშირებით უბრალოდ კი არ გამოთქვა თავისი მოსაზრება, არამედ ერთი წლით ადრე, 2016 წლის 22 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც აღიარა, რომ მიწის ნაკვეთი, რომლის საკადასტრო აზომვითი ნახაზის ბათილად ცნობაც მოახდინა სასამართლომ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ეკუთვნოდა -- --.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემობები:

2016 წლის 05 თებერვალს -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა საჯარო რეესტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რითაც მის საკუთრებაში არსებული -- რაიონის სოფელ -- მდებარე უძრავი ქონება სხვადასხვა პერიოდში ექცეოდა სხვის საკუთრებაში. -- -- მოპასუხედ მიუთითა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

-- -- 2016 წლის 02 მარტს -- რაიონულ სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი, სადაც მოპასუხედ მიუთითა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- სამსახური, -- მუნიციპალიტეტის გამგეობა, მოქალაქეები: -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- --. დაზუსტებული სარჩელი 2016 წლის 04 მარტის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული.

-- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- მიერ 2016 წლის 14 მარტს წარდგენილ იქნა შესაგებელი.

-- რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განჩინებით, მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 30 მარტს.

2016 წლის 06 მაისის განჩინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან არსებობს მოსარჩელის მოთხოვნა სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეებს შორის ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს სამოქალაქო დავას და არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ამიტომ, ამ ნაწილში საქმე განხილული უნდა იყოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის მიზნით, საქმეზე №3/5-16 ცალკე წარმოებად გამოეყო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე.

-- რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელე -- -- საქმეზე (დავის საგანი - უძრავი ნივთის ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების

ნაწილობრივ ბათილად ცნობა), მოსამართლე -- -- მოჩვენებითად მიიჩნია და ნაწილობრივ ბათილად სცნო -- --, -- (--) --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- შორის სხვადასხვა პერიოდში გაფორმებული ქონების ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები, რითაც სრულად დააკმაყოფილა -- -- სარჩელი.

აღნიშნულ საქმეზე, 2017 წლის 17 ივლისს, -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- მიერ შეჩერდა საქმის წარმოება, -- -- 2016 წლის 02 მარტის დაზუსტებულ ადმინისტრაციულ სარჩელზე (ადმინისტრაციული საქმე №-/--16) და მისგან გამოყოფილ ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქმეზე №-/--16, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სასამართლოს მთავარი სხდომა გაიმართა 2016 წლის 03 ივნისს.

-- რაიონული სასამართლოს 2016 წლის 06 ივნისის განჩინებით, -- -- სარჩელის გამო მოპასუხეების -- მუნიციპალიტეტის გამგეობის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- რეგიონალური ოფისის, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ №-/--16 ადმინისტრაციულ საქმეზე დაინიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა. ამავე განჩინებით, მოცემული საქმის წარმოება შეჩერდა ექსპერტიზის დასრულებამდე.

-- რაიონული სასამართლოს მოსამართლის -- -- 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინებით, ადმინისტრაციულ საქმეზე №-/--16 დაინიშნა სასამართლო სხდომა 2016 წლის 14 დეკემბერს.

№-/--16 ადმინისტრაციულ საქმეზე მოპასუხეების: -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- წარმომადგენლის -- -- მიერ დაყენებულ იქნა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე საქმეზე დამატებითი ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე.

№-/--16 ადმინისტრაციული საქმე, მოსამართლე -- -- 2017 წლის 29 მაისის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, განსახილველად გადაეცა -- რაიონული სასამართლოს მოსამართლეს -- --.

-- -- სარჩელზე 2017 წლის 20 ივლისს გაიმართა სასამართლო მთავარი სხდომა. აღნიშნულ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა -- -- დააყენა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა, რასთან დაკავშირებითაც მიუთითა მოსამართლე -- -- 2016 წლის 06 მაისის განჩინებაზე, რითაც -- -- სარჩელის საფუძველზე დაწყებული საქმისწარმოება გაიყო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმედ. შუამდგომლობის ავტორი უთითებდა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით წარმართულ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლე -- -- (22/08/2016) და სრულად დააკმაყოფილა -- -- სარჩელი და იგივე მოსამართლე განიხილავდა -- -- სარჩელს ადმინისტრაციულ საქმეზე. წარმომადგენლის განცხადებით, -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 17 ივლისის საოქმო განჩინებით, შეჩერდა წარმოება

ზემოხსენებულ სამოქალაქო საქმეზე - -- რაიონულ სასამართლოს წარმოებაში არსებულ -- -- დაზუსტებულ ადმინისტრაციულ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

მოპასუხის წარმომადგენელი -- -- აცილების შუამდგომლობაში აღნიშნავს, რომ 2016 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, მოსამართლე -- -- მხრიდან არსებობს წინასწარ დეკლარირებული აზრი მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, რაც ლეგიტიმურ ეჭვს ბადებს მის მიუკერძოებლობაში. -- -- მითითებით, რამდენადაც -- -- არის -- რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, არსებობს იმის საფუძვლიანი ეჭვიც, რომ გავლენა მოახდინოს მის დაქვემდებარებაში მყოფ მოსამართლეებზე, შესაბამისად, მიზანშეწონილად მიაჩნია საქმე განხილული იყოს სხვა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

2017 წლის 20 ივლისის სხდომის ოქმის მიხედვით, მოპასუხის წარმომადგენელი -- -- დაეთანხმა -- -- შუამდგომლობას მოსამართლის აცილებაზე, ამასთან, მოსამართლის კითხვაზე რატომ არ დააყენეს აცილების შუამდგომლობა წინა სხდომაზე, მანვე აღნიშნა, რომ წინა პროცესზე (სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე 06/07/2017) მისთვის ცნობილი იყო 2016 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების არსებობის შესახებ, თუმცა ჩამოსაყალიბებლად ელოდებოდა სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომელმაც შეაჩერა საქმისწარმოება (სასამართლო სხდომის ოქმი 15:30, 20/07/2017).

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციულ საქმეზე №-/--16, დაკმაყოფილდა -- -- სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

საჩივრის ავტორის მიერ მითითებული საკითხების სრულყოფილი შესწავლის მიზნით, გამოთხოვილ იქნა 2017 წლის 29 სექტემბრის სხდომის ამსახველი აუდიო-ვიდეო ჩანაწერები და გამოკითხულ იქნენ სხდომაზე დამსწრე პირები.

ვიდეო ჩანაწერის მიხედვით, მოსამართლემ საქმეზე გამოაცხადა საბოლოო გადაწყვეტილება - მხარეებს წაუკითხა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და სხდომა დახურულად გამოაცხადა, რისი წარმოთქმის დასრულებისთანავე, სხდომათა დარბაზში მყოფ პირებს, ხელის ჟესტიკულაციის გამოყენებით მიმართა - ,,ერთი წუთით", რის შემდგომაც ვიდეო ჩანაწერი წყდება. მსგავსად, გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე წყდება სხდომის აუდიო ჩანაწერიც.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში გამოიკითხნენ 2017 წლის 29 სექტემბრის სხდომაზე დამსწრე პირები: მოსარჩელე - -- --, -- (-- გამგეობის) წარმომადგენელი - -- --, მესამე პირი - -- -- და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი (მოპასუხე გამოყოფილ სამოქალაქო საქმეზე) - -- --.

მოპასუხის - -- გამგეობის წარმომადგენელი -- -- დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის მიცემულ განმარტებაში აღნიშნავს, რომ ესწრებოდა -- რაიონული სასამართლოში 2017 წლის 29 სექტემბერს მოსამართლე -- -- მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებას. მისი თქმით,

გადაწყვეტილების გამოცხადების და გასაჩივრების წესის ახსნის შემდგომ, იგი მაშინვე გავიდა დარბაზიდან, რა დროსაც მოსამართლე იდგა ფეხზე სასამართლო ტრიბუნასთან და მხარეები უკლებლივ ყველა კვლავ ისხდნენ ადგილებზე, რა პერიოდშიც, მოსამართლე ესაუბრა თუ არა რაიმე საკითხზე დარბაზში მყოფ პირებს, მან ეს არ იცის. იგი ასევე უარყოფს მოსამართლის მიერ სასამართლოს სხდომათა დარბაზში მყოფი პირების შეყოვნების ფაქტს და აღნიშნავს, რომ დარბაზში მყოფი პირები მას უკან გამოყვნენ დაახლოებით ერთ წუთში.

მოსარჩელე -- -- განმარტებაში უარყოფს მოსამართლე -- -- მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდგომ სასამართლო სხდომათა დარბაზში მყოფი პირების შეყოვნების/შეჩერების ფაქტს და აღნიშნავს, რომ მოსამართლემ წაიკითხა გადაწყვეტილება და გავიდა.

მესამე პირი -- -- ვერ იხსნებს მოსამართლის მიერ სასამართლო სხდომათა დარბაზში მყოფი პირების შეყოვნების და საუბრის ფაქტს და ამბობს, რომ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდგომ მოპასუხის წარმომადგენელთან - -- -- ერთად დატოვა დარბაზი.

საქმეზე ასევე გამოკითხულ იქნა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული -- --, რომელიც ესწრებოდა 2017 წლის 29 სექტემბრის სხდომას და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებას. იგი განმარტავს, რომ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდგომ, როდესაც ყველა წამოდგა ფეხზე დარბაზიდან გასასვლელად, მოსამართლეს მიმართა და უთხრა, რომ მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, რასაც გაასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლოში. აღნიშნულზე მოსამართლე -- -- მოუწოდა მიახლოებოდა, რა დროსაც უთხრა, რომ სააპელაციო სასამართლო ძალაში დატოვებდა მის გადაწყვეტილებას და ტყუილად დახარჯავდა აპელაციის და ადვოკატების ფულს.

-- -- თქმით, მოსამართლესთან საუბრის მომენტში მათთან ერთად არავინ ყოფილა, ხოლო დარბაზში იყო თუ არა ვინმე ეს არ იცის.

-- -- განმარტებისას აგრეთვე მიუთითა საქმეზე ჩატარებულ ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე, როდესაც მოსამართლე -- -- სიტყვით გამოსვლისას ყვირილით მიუთითა მოსარჩელე -- -- გაჩუმებულიყო, რაზეც გაბრაზებულმა -- -- ადგილიდან უყვირა მოსამართლეს შემდეგი სიტყვებით: - ,,შენ ხომ მითხარი რომ ეს ყველაფერი ზუსტად ასე იქნებაო“, რაზეც მოსამართლემ უთხრა ,,გაჩუმდი, გაჩუმდიო“.

საქმის მასალებში დაცული სასამართლო სხდომის ამსახველ აუდიო ოქმებში, -- -- მიერ მითითებული დიალოგი მოსამართლე -- -- და მოსარჩელე -- -- შორის ვერ იქნა მოძიებული.

-- რაიონული სასამართლოს მოსამართლის -- -- მიერ მიღებული 2017 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება -- -- მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა 2017 წლის 30 ოქტომბერს. სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული -- სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 დეკემბრის განჩინებით.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე - აფხაზური.

,,საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლე -- -- არ იცის სახელმწიფო ენა, რისი დადასტურებაც ერთმნიშვნელოვნად საქმის მასალების კომპლექსური შეფასების შედეგად არის შესაძლებელი. საქმეში არსებული მასალების და სასამართლო სხდომების ამსახველი აუდიო ოქმების გაცნობის შედეგად, მოსამართლე -- -- მიერ საქმეზე წარმართული არაერთი სხდომა, მიღებული აქტები და განხორციელებული საპროცესო მოქმედებები, მისი მხრიდან სახელმწმიფო ენის არ ცოდნის ფაქტს გამორიცხავს.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს

მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული გარჩევა უფრო მიზანშეწონილია.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- --, 2016 წლის 06 ივნისის განჩინების მიღებისას, კერძოდ, საქმის ორ წარმოებად გაყოფისას, მოქმედებდა ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, რაც დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში შეფასების საგანი ვერ გახდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად:

1. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

2. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

3. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ან/და პირველი ინსტანციის სასამართლოში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან

ვალდებულებები აკავშირებს;

ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;

გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში;

ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიეთითოს თვითაცილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ წერილობით განაცხადონ აცილება. განცხადება აცილების შესახებ მოტივირებულ უნდა იქნეს და გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე.

ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, მოსამართლე -- -- არ დაურღვევია კანონი, როდესაც მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა აცილების თაობაზე არ დააკმაყოფილა. მოსამართლის გადაწყვეტილება საქმის ორ წარმოებად გაყოფის თაობაზე და შემდგომ ამ საქმეთა იგივე მოსამართლის მიერ განხილვა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებულ აცილების საფუძველს არ წარმოადგენს.

ამასთან, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, შესაბამისი ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით, არ დადასტურდა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტი - მოსამართლესა და -- -- შორის განხილულ საქმესთან დაკავშირებით კომუნიკაციის თაობაზე.

2017 წლის 29 სექტემბრის სხდომაზე მყოფი პირები არ ადასტურებენ მოსამართლე -- -- და -- -- შორის საუბარს, აღნიშნულის დადასტურება აგრეთვე ვერ მოხდა სხდომის აუდიო და ვიდეო ჩანაწერებით. საქმეზე გამოკითხულ პირთაგან მხოლოდ -- -- უთითებს მას და მოსამართლეს შორის განხილული საქმესთან დაკავშირებით განცალკევებით საუბარზე, რაც საერთო ჯამში,

არ ქმნის საკმარის საფუძველს მოსამართლის მიმართ დაიწყოს დისციპლინური დევნა.

დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, აგრეთვე შემოწმდა -- -- მიერ მოყვანილი ფაქტი პროცესის დროს მოსამართლე -- -- და მოსარჩელე - -- -- შორის ხმამაღლა საუბართან დაკავშირებით, თუმცა, აღნიშნული ფაქტი აუდიო სხდომის ოქმების მოსმენის შედეგად არ დადასტურებულა.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად არ გამოიკვეთა და არ დადასტურდა 2017 წლის 20 ნოემბრის №-- საჩივარში მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №205/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი